

# სამჭრთა ხელოვნება

საქართველოს  
ხელოვნება

GOBETGROE  
UCRYGGTBO  
SOVIET  
ARTS  
SOWJETKUNST  
ART  
SOVIETIQUE

1

1969

ფ. 5



# სამართალი საქართველოში



თეატრი  
 მუსიკა  
 მხატვრობა  
 კინო  
 უწყობილებები  
 ქორეოგრაფია

1

საპარტოვოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო

1969







ირაკლი თჩიაური

მოსკოვი



მთავარი რედაქტორი — ოთარ მზახი

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე ბ ი ა: შალვა ამირანაშვილი,  
გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა  
ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, ვანო წულუკიძე, დიმიტრი ჯანელიძე.



ირაკლი თრიალური

ხევსტური ქალი

ეროვნული  
მუზეუმი





# ხალხის ცოდნისა და კულტურის



## აკაპლუაისათვის

ნიკოლოზ ჭახავია

ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების პროპაგანდა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების პროპაგანდისტული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, უღირსად საპატიო ამოცანაა. იგი ხელს უწყობს მშრომელთა ფართო მასების ესთეტიკურსა და საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულიკეთებით აღზრდას.

საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმთან შექმნილია ლიტერატურისა და ხელოვნების ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელსაც შრავალი წელია ზემოქმედანლობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ს. ახვლედიანი. სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრებად არჩეული არიან რესპუბლიკის ცნობილი ადამიანები — ლიტერატურისა და ხელოვნების გამორჩეული სპეციალისტები. სამეცნიერო-მეთოდური საბჭო ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში მოსახლეობის ცოდნის ამაღლებისათვის, იგი ამუშავებს და ამტკიცებს აქტუალურ საკითხებზე ლექციური პროპაგანდის სანიშნო თემატიკას, ადგენს და ცხოვრებაში ატარებს ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს, ატარებს ლექტორთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარებს, ახდენს ლექციების ტექსტების შემოწმებას, ამუშავებს მეცნიერთა რაიონებში გასვლისა და სამეცნიერო სესიების ჩატარების გეგმებს, მეთოდურ დახმარებას უწევს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე მომუშავე ლექტორებს, ადგენს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ბროშურების გამოცემის გეგმებს და ხელმძღვანელობს ბროშურების მომზადებას. სწავლების ლიტერატურისა და ხელოვნების ცოდნის პროპაგანდის მიმდინარეობის საკითხს საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებში, საკითხებს ამზადებს საზოგადოების პრეზიდიუმზე განსახილველად და ა. შ. ლიტერატურისა და ხელოვნების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მუშაობის შედეგად საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურ და ადგილობ-

რივ ორგანიზაციებში შეიქმნა ლექტორთა კადრების სტაბილური კოლექტივი, ამაღლა მათი კვალიფიკაცია, გაუმჯობესდა ჩატარებული ლექციების ხარისხი, გაიზარდა მოსახლეობაში ჩატარებული ლექციების რაოდენობა. ასე მაგალითად, რესპუბლიკაში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ჩატარებული ლექციების რაოდენობა 1963 წელს შეადგენდა 8510, 1964 წელს 11.000, 1965 წელს 17.800, 1966 წელს 21.300, 1967 წელს 16.000-ს. 1965—66 წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ჩატარებული ლექციების მკვეთრი ზრდა დაკავშირებული იყო დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის-იანის საიუბილეო თარიღთან.

ლექციების გარდა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ყოველწლიურად ატარებენ სამეცნიერო გამსვლელ სესიებს, თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, შრომელთა შეხვედრებს ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ ადამიანებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან და მოწინავეებთან. რესპუბლიკის მოსახლეობაში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხთა პროპაგანდის მიმდინარეობის და მისი სრულყოფის საკითხი სისტემატურად არის საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის განხილვის საგანი. სრულიად საკავშირო და საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ინიციატივით 1962 წლის მაისის თვეში თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათაშორის თათბირ-სემინარი თემაზე: მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ლიტერატურისა და ხელოვნების როლის შესახებ. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ლექტორები. სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ: აკადემიკოსი გ. ახვლედიანი თემაზე „ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების პროპაგანდა საქართველოში“, პროფ. ზ. ხუტუა თემაზე „საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარების გზები“, დოც. ი. ურუშაძე თემაზე „საბჭოთა სახვითი ხელოვნების



რ. ასავეი, რ. თედვეი, გ. ნართაივი, ნ. ძუნგვი, ს. ალბორი, დ. ჯიგვი, ი. პლივი. 1964 წელს ლენინგრადში გამოძარცვულ ქართველ ცხოვრებას და მიღწეობისში მიძღვნილი საღამო. 1964 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ცინხვალს პედგოგურ ინსტიტუტში და ლენინგრადის რაიონის (ცენტრში ჩატარდა ლიტერატურული საღამოები მიძღვნილი დიდი რუსი მწერლებს: ბ. ლეონტოვისა და ნ. ისტრუკოვისადმი. 1964 წლის სექტემბერში ცინხვალში ჩატარდა თემატური საღამო საკითხზე „ახალგაზრდა გმირის სახე ისტორიის მხატვრული ლიტერატურაში“. 1963 წელს ოსი მწერლების ბრიგადი ნ. ყუსოვის ხელმძღვანელობით გამოვიდა ჯაიხა და წაუთრის რაიონების მშობლიურად წინაშე ლექციები, მოხსენებები, თავიანთი ლექციები. ყველა ეს ღონისძიება საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მიერ ტარდებოდა მწერალთა კავშირის სახმრეთ-ოსეთის ორგანიზაციასთან ერთად და დღე-ღამე უწყობდა ხელს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, მშრომელთა პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმის სულიკეთების განძობით აღზარდეს. 1965 წლის მაისის თვეში საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ განიხილა საკითხი დიდი ქართველი პოეტისა და მთაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის საქმეში საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. ამასთან ერთად გამგეობის პრეზიდიუმთან შეიქმნა საოქოლო კომისია პროფ. შ. ძიძგურის (თავმჯდომარე), ავადმეცის ა. ბარამიძის, ავადმეცის ა. ჩიქობავას, კრიტიკოს ბ. ძუნგვის, პროფ. დ. ბენაშვილის, პროფ. დ. ჯანელიძის, პროფ. გ. ჩხეიძის, პროფ. ი. ლოლაშვილის შემადგენლობით. კომისიის დავალა დაზმარება გაეწია საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ საოქო, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციებისათვის შოთა რუსთაველის 800 წლისთავის ღირსეულად ჩატარების საქმეში. თავი სხდომადი დამტკიცდა რუსთაველის 800 წლისთავის დადგენილებული ლექციების სანიშნულ თემატიკა აგრეთვე ბიოგრაფიებისა და სხვა მასალის გამოკვების გეგმა, რომელშიც უნდა გაშუქებულიყო რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება.

1965 წ. ივნისში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა თავის სხდომებზე აღნიშნა, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა ლიტერატურული და ხელოვნების საკითხების პროპაგანდა საზოგადოების ზედღედისა და ბიოგრაფიის განყოფილებებში. 1965 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ჩატარდა ზედღედის რაიონში 340, ხილო ბიოგრაფიის რაიონში 76 ლექცია და მოხსენება. ამ რაიონებში ერთობადა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე თემატური საღამოები, დისკუტები, ლიტერატურულ ნაწარმოებათა განხილვა. ლიტერატურული გმირების გასამართლება. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ თბილისელი და ადგილობრივი ლიტერატორები, მასწავლებლები, ხელოვნების მუშაკები.

1965 წლის მანძილზე საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ჩატარდა შინა-საღამო და სანიტარის ღონისძიებები: გურჯაანში მოეწყო დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საღამო, რომელზედაც მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. დ. რამიშვილი, პროფ. ა. ცანავა, პროფ. ივ. ლოლაშვილი, ქ. თელავში ჩატარდა მწერალ ე. ზედღედის რაიონის „გაზაფხული იწყება ადრე“ საქარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობდა რომანის ავტორი ე. ზედღედე, კრიტიკოსი ე. წულუკიძე. ამავე წელს დატარდნის, წულუკიძის, მთავოსკის რაიონებში ჩატარდა თემატური საღამოები თემატზე „მშვიდობის დაცვის საკითხი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“. მსხეთსა და დუშეთის რაიონებში

ში ჩატარდა თემატური საღამოები საკითხზე „რუსთაველი და ოი-მედროვე ქართული მწერლობა“, თელავის რაიონის სოფ. იალოოს და თბილისის კალინინის სახელობის ცენტრალურ უნივერსიტეტებში მოეწყო საღამოები თემატზე „რუსთაველის პირობის ლაგრატები“. მსმენელებს შეხვდნენ ი. აბაშიძე, კ. გამსახურია, დ. ველისკოვი.

1966 წლის მაისის თვეში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა განიხილა საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების პროპაგანდის დარგში. მასალებიდან ჩანს, რომ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციებში სისტემატურად ტარდებოდა ლექციები, მოხსენებები, თემატური საღამოები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან მშობლიურად შეხვედრები, ამ პერიოდში ლექციური პროპაგანდის ძირითადი თემები იყო: „შოთა რუსთაველის პიოგის მსოფლიო მნიშვნელობა“ (ავად. ა. ბარამიძე), „ბიზანტიური და ქართული არქიტექტურა“ (ავად. ნ. ნუტუბიძე, პროფ. ნ. ყუბინაშვილი), „მედიკ ქართული მეხობტერი ჩახრუხამე და შავთელ“ (ფილ. მეცნიერებათა დოქტორი ი. ლოლაშვილი), „აკაკი წერეთლის პოეტიკა“ (ფილ. კანდიდატი ა. ხინბიძე, შ. ვაშაყაძე), „ა. ჯავახიანი“ (ფილ. მეცნიერებათა დოქტორი ი. კენჭიშვილი), „რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები და ნი-ნანი წულვის ქართველ მოღვაწეთა ურთიერთობა“ (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. სააკაძე), „დადებითი გმირის პრობლემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ (მ. ძუნგვი, გ. გვერდწილი), „ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების გზები“ (მეცნიერებათა კანდიდატი დ. თეგიაძე), „თანამედროვე საქართველო ლიტერატურის ძირითადი მიმართულებანი“ (პროფესორები მ. კვესელავა, გ. გაჩეჩილაძე, შ. რევიშვილი), „თანამედროვე ქართული მუსიკა“ (პროფ. ნ. ხუტუა), „საუფილო ხელოვნების ტრადიციები საქართველოში“ (კომპოზიტორი გ. კიკელაძე), „ქართული საბჭოთა კინის განვითარების გზები“ (ე. გოგობი). ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი ამ თემატიკისა, რაზეც ტარდებოდა ლექციები. თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა, რაიონებში და სოფლებში, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მიერ მოწყობილი ღონისძიებებზე, გარდა აღნიშნული ამხანაგებისა, 1964—66 წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე საქართველოს მოსახლეობის წინაშე ლექციებით გამოდიოდნენ მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები: ს. ჭილაძე, ი. ნინუაშვილი, რ. მარგანი, გ. ბერუღავა, მ. ბარათაშვილი, ნ. გურამიძე, ნ. კელამინია, მ. ფოცხიშვილი, ა. შანიძე, ტ. მეტუბრიშვილი; სსრ კავშირის სახალხო არტისტები: გ. ანგაგობი, ე. გიოიაშვილი; საქართველოს სსრ სახალხო არტისტები: დ. აბაშიძე, გ. კუბრაშვილი, ა. თოძე, ი. ბაქრაძე, მ. ჩანავა; დამსახურებული არტისტები: შ. ნარსია, ნ. ტატიშვილი, ე. საყვარელიძე, გ. საღარაძე, დ. გაგუა, ამ პერიოდში საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციებში ტარდებოდა სხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიებები: ლექციების ციკლები „რუსთველოლოგიური საღამოები“, „მუხეზეველი ქართულ მწერლობთან“, „თანამედროვე საზოგადოებრივი ლიტერატურა“, „პოეზიის საღამოები“ — მხოლოდ ახალი, მოეწყო მშრომელთა შეხვედრები პოეტებთან ი. ნინუაშვილიან, მ. ბარათაშვილიან, ა. კელამინიაშვილიან, რ. მარგანიანთან. საზოგადოებრივი ლიტერატურის საკითხების გარკვეული მონაწილეობა საღამოებზე გამოდიოდნენ პროფ. გ. გაჩეჩილაძე, შ. რევიშვილი, დ. ფანაშვილი, მ. კვესელავა, დოქტორები — შ. ჯიბრაშვილი, მ. ნათაძე და სხვ. თბილისის ღონისძიება და ოქტომბრის სახელობის რაიონებში მოეწყო „პოეზიის საღამოები“, კალინინის სახ. რაიონში მოეწყო ნ. დუმბაძის პიესის „მე, ბებია, რიკო და ილარიონი“



განილვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რეესტრმა გ. ლორთქიფანიძემ, მხატვარმა ი. ლითინიშვილმა, პ. კანდელაკმა და სხვ.

1966 წელს საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების კურსდღების ცენტრში იყო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნა. ამ წლის ივნისში საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ საზოგადოების საოლქო, საქალქო, რაიონულმა და პირველად ორგანიზაციებმა ფაქტობრივად გაწაფეს მუშაობა შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების გამოქვეყნისათვის. მარტო 1965 წლის მთავრ ნახევარში და 1966 წლის პირველ ნახევარში რუსთაველი პირის ირგვლივ საქართველოში ჩატარებული იყო 4000-ზე მეტი ლექცია. რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებში, სკოლებში ლექციებს ატარებდა 1000-ზე მეტი კაცი — ლიტერატურის მკვლევრები, მწერლები, კრიტიკოსები და სხვ. მოსწენებები გამოიდიდნენ ავად. ა. შანიძე, ავად. გ. წერეთელი, ავად. გ. ჯიბლაძე პროფესორები — დ. გერიტიშვილი, შ. მესხია, მ. ჩიქოვანი, მ. მტკვრელი, ა. მახარაძე, შ. ძიძიყაძე, მ. ლორთქიფანიძე, შ. დუმბაძე, დ. სააკაშვილი, გ. გაჩეჩილაძე, ა. დლიტი; დოცენტები — პ. ლულუაშვილი, გ. ბარამიძე, ბ. დობოჯრგინიძე, ს. სერგორაძე, ი. მისიურაძე და სხვ.

დიდი ქართველი პოეტისა და მთარგმნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით მრავალმხრივი შინაარსიანი პროპაგანდისტული მუშაობა წარმოებდა რესპუბლიკის სახალხო უნივერსიტეტში, კულტურის სახელმწიფო და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებში. ტარდებოდა ლექციების ციკლები, თეორიული კონფერენციები, მშრომელთა შეხვედრები რესპუბლიკის კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევებისათვის.

1966 წლის მარტის თვეში სახელმწიფო უნივერსიტეტის საექტო დარბაზში ჩატარდა თბილისის ორგანიკიძის სახელობის რაიონის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის (რექტორი პროფ. პ. კვეციანი) მეცადინეობა, რომელსაც დაესწრნენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არსებული სახალხო უნივერსიტეტების რექტორები (ამ პერიოდში თბილისში ტარდებოდა რესპუბლიკის სახ. უნივერსიტეტების რექტორთა რესპუბლიკური თათბირი).

ორგანიზების სახ. რაიონის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის ეს მეცადინეობა სპეციალურად მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

ამ მეცადინეობაზე მრავალრიცხოვანი უდიდებობის წინაშე მოასწენებელი თემაზე „შოთა რუსთაველი და მსოფლიო ლიტერატურა“ გამოვიდა საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოთხოვნა ავად. ა. ბარამიძე, თემაზე „საბჭოთა თავმჯდომარე და საზღვარგარეთის ქვეყნებში რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის სათემო მზადების შესახებ“ პოეტი-ავადმჯდომარე ი. აბაშიძე, რუსთაველის ეპოქის არქიტექტურის შესახებ“ პროფ. ე. ბერიძე, „შოთა რუსთაველი ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში“ მუსიკოს-კომპოზ. გ. ტორაძე. 1965 წლის ნოემბერში თელავის რაიონის ს. იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობაზე შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე ლექციებიც გამოვიდნენ ი. აბაშიძე, ქ. გამსახურდია, ლ. გუდიაშვილი, გ. ვიძიაშვილი, ს. ზლიაია, მ. მტკვრელი, ა. ვიძიაშვილი, შ. ძიძიყაძე, დ. ჩხივიშვილი. 1966 წლის აპრილის თვეში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების სამეცნიერო მეთოდურმა საბჭომ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის მეცნიერებმა მრავალ რაიონში ჩატარეს რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები,

რომლის მუშაობაში მონაწილეობა იღებდნენ ა. ბარამიძე, მ. ჩიქოვანი, გ. ვევერდელი, ი. მისიურაძე, ს. ცანფორია, იმეჯე წლის ივნისში გაიმართა სამეცნიერო სესია „რუსთაველი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ დ. ჩხივიშვილი, შ. ძიძიყაძე, დ. ბენაშვილი, ა. ლონტი, გ. ბარამიძე, ი. მისიურაძე, ასთავოდ ლონტიძემა ივნისის თვეში ჩატარდა ლანჩხუთის რაიონში. ანალოგიური მუშაობა ჩატარდა საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებმა რესპუბლიკის ყველა რაიონში.

შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სრულიად საქართველო საზოგადოება „წინამძღვრულ ენაზე დიდი ტრიატივი გამოიქცა. ა. ბარამიძის ბროშურა თემაზე „შოთა რუსთაველი“, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის მიერ დიდი ტრიატივი იქნა გამოცემული ბროშურებიც ავად. ა. ბარამიძის „შოთა რუსთაველი“, პროფ. მ. დუმბაძის „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“, პროფ. ი. მეგრელიძის „შოთა რუსთაველი ზეპირსიტყვიანობაში“, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორის ი. ლლაშვილის „რუსთაველის ეპოქის წყნამდ ამოძრწული ლიტერატურული მემკვიდრეობის გარშემო“, დოც. გ. ბარამიძის „შოთა რუსთაველის „ეგვიპტისათვის“ მიზნობრივ თაობის აღზრდის სამსახურში“, დოც. ა. პაპავას „ეგვიპტისათვის“ ცხოველთა საყვარელი და სხვ.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოები მოეწყო სამტრედიის, შიდაკაცის, ქუშეთის, მცხეთის, გუგუშორის, გურჯაანის, ბორჯომის, ღერეთის, ასპინძის რაიონებში. ქ. ფთოში აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ა. დლიტი, ი. თავაძე, ი. მეგრელიძე, გ. იმედაშვილი, ა. ცანავა, დ. რამიშვილი, ი. ლლაშვილი, ი. აბულაძე, გ. ვაგოიძე, ბ. დობოჯრგინიძე, ა. მირიანაშვილი და სხვები.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის სათემოლო თარიღი აღინიშნა საზოგადოება „ცოდნის“ აპარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში. შოთა რუსთაველის 800 წლისთავი ეგვიპტეშიც მივიღო ქართველი ხალხის ზეიმიად. აქ საშუალება არ გვაქვს აღვნიშნოთ ყველა ღონისძიება, რომლებიც ჩატარებულ იქნა ამ თარიღისათვის.

1967 წლის აპრილის თვეში თბილისში ჩატარდა საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების ლექტორთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის სათემოლო თარიღს. სემინარის მონაწილთა წინაშე ლექციებიც გამოვიდნენ საქართველოს მწერლთა კავშირის მიდინაზე. ე. ულტიკი თემაზე „საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე“, ავად. შ. ამირანაშვილი „საბჭოთა საბჭოთა ხელოვნების განვითარების შესახებ“, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ქ. ვიკოძე „საბჭოთა კონომეტრეგრაფიის მიღწევები ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე“, ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიკოსი ბ. ურუშაძე „ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე“, მე-სოციალისტური ა. წულუკიძე „საბჭოთა მუსიკის განვითარების ძირითადი ეტაპები“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა ა. მირცხულავამ, რ. მარკიანი, მ. ბერუელი, მ. მხატვრებმა — ლ. ულტიკი, ქ. სანაძე, ს. მისიურელი, მ. უ. ჯაფარიძემ, ქ. მემქარაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა: ა. ანჯაფარიძემ, ს. დლიტიმ, გ. ვიძიაშვილი, ა. მაკუცარიამ, კომპოზიტორმა — დ. თორაძემ, პროფ.



გ. ჩხიკავაძე, კინორეჟისორმა დ. რინდლმა, პროფესორებმა გ. ჩხიკავაძემ, კინომახაობაში ა. ბაღაშვილმა, საქართველოს კინმატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. უსუბაძემ.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა 1967 წლის სექტემბრის თვეში განიხილა სა-კიბო ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების პროპაგანდის საქმეში საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციამ საოქრო, საქალაქო, რაიონულმა და პირველდამ ორგანიზაციებმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საგრძნობლად გააუმჯობესეს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების პროპაგანდა. უფრო შინაარსიანი და აქტიური გახდა პროპაგანდის მუშაობის ფორმები, განმტკიცდა საზოგადოების აკვირბი შემოქმედებით ორგანიზაციებთან, გაუმჯობესდა ლექციების ხარისხი, ლექციები ტარდება თემზე „სკკპ პროგრამა ლიტერატურისა და ხელოვნების როლის შესახებ შრომითა კომუნისტურ აღზრდაში“, „საბჭოთა ლიტერატურა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე“, „სოციალისტური რეალობის პრობლემები“, „პარტიულობა და ხალხური საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი პრინციპებია“, „ტრადიციისა და ნოვატორების შესახებ ლიტერატურასა და ხელოვნებაში“, „ქართული ლიტერატურის განვითარების გზები“, „შოთა რუსთაველის შემოქმედება“, „აფხაზეთი ლიტერატურის განვითარების გზები“, „აფხაზეთი პროზის წარმოშობა და განვითარება“, „მ. გორჯის შემოქმედება“, „სოციალიზმის ქვეყნის დიდი პოეტი გილატიონ კახიძე“, „ახსოვითი სახალხო პოეტი დ. გულა“ და სხვ. პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდის შედეგში გაძლიერების შესახებ.

1968 წელს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციამ საფუძვლად დაუდგინა მისხალხების ფართო ფენებს დიდი პროლეტარული მშენებლის, სოციალისტური რეალობის ფუნქციონირების მაქსიმალური ცხოვრება და შემოქმედება მის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მოაგზავნა ლექციების თემატიკა.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მაქსიმალური ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე ლექციები გამოვიდნენ: ვ. გორჯანიანი, ა. ცანავა, ვ. ლაფარაშვილი, პ. ლულუშაური, დ. კოლაძე, პ. შარია და მრავალი სხვა.

დიდი პოეტიცა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა მრავალი ღონისძიება დასაბ. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ჩატარდა ლექციები ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. შრომითა წინაშე ლექციებით გამოვიდნენ პროფესორები — მ. გობაშვილი, ა. ცანავა, ზ. რამიშვილი, პ. შარია, დოცენტები — ი. მისიურაძე, მ. სააკაძე, ს. სერგებრაიკოვი, პ. ლულუშაური, დ. ქორიძე, დ. თევზაძე, ი. ჩიკავაძე, ვ. გორჯანიანი და სხვები.

ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე მსმენელთა წინაშე ლექციებით გამოდინა პროფ. რ. რაიონიანი თემაზე „თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურა“, პროფ. ა. ცანავა — „ვეა-ფშაველის შემოქმედება“, შ. სააკაძე — „რუსული ლიტერატურის ისტორიანი“, პ. ლულუშაური — „მედიკოსის ცხოვრება და შემოქმედება“, „საბჭოთა ლიტერატურა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე“.

ბ. კვიციანი — „გალატიონ ტაბიძის ლირიკა“, ა. შანიძე — „პარტიული მოტივები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“, გ. ჯელიძე — „უძველესი საქართველო ფოლკლორულ წყაროებში“, ზ. ლორთქიფანიძე — „გ. ი. ლენინი ქართულ ხალხურ პოეზიაში“, შ. ნარსია — „გ. ტაბიძის შემოქმედება“, ფ. ნინოიანი — „გ. ტაბიძის შემოქმედება“, მიმდინარე წლის მისის თვეში ინტერპრეტის მშენებლებზე შეხედნენ ქართული მწერლობა და პოეტიკა გ. ანაბიძე, ა. მირცხულავა, ჯ. კოლაძე, რ. მარგანი, ხ. ბერუღლა, მ. ქვიციანი, ჯ. ჩარკვიანი, შ. ფირჩხიძე, ე. ყვირიანი, ა. სულავერა, ო. კონდრა, გ. გოგიჩაიშვილი. საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გარკვეულ მუშაობას ატარებს მომავალ ხალხურ ლიტერატურისა და ხელოვნების პროპაგანდის საქმეში.

1963 წელს ჩატარდა აჭარაში მომუშავე მწერლების შემოქმედებითი საბაზო. 1966 წლის ოქტომბრის თვეში საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციამ ჩატარა ლიტერატურული საღამო თემაზე „საბჭოთა ქართული ლიტერატურა“. საღამოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისში მცხოვრები ქუჩიანი მწერლებმა, პოეტებმა, ხელოვნების მუშაკებმა: ბაჩო ისკო, ჯალილე აჟი, აზიზ ისკო, ადგილ ჩანოევა, ბროე ტრავანი, ჯალილე რაშო.


1966 წლის სექტემბერში საზოგადოება „ცოდნის“ ლექტირატურში საქართველოს მწერალთა აკვირბის სიმუხრატეკიის ძალებით ჩატარდა თემატიკური საღამო „ვეფხისტყაოსანი“. საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა აკვირბის სიმუხრატეკიის თავმჯდომარე მ. სურიანიანმა, მოხსენება თემაზე „ვეფხისტყაოსანი“ გაკეთა მწერალმა ს. აკიანიამ, „ვეფხისტყაოსანი“ საკუთარი სიმუხრატეკიის თარგმანის წაწყვეტები წაიკითხა ი. კარიანი. „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული კითხვის საღამო მომზადდა და ტარდებოდა ცხივანეთის ხეთაგურეთის სახელობის თეატრის მსახიობთა მიერ. ყოველივე ეს ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიულ მცხოვრები ხალხების მეგობრობის განმტკიცებას და გაფართოებას.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად, მნიშვნელოვან და ეკონომიკურ მუშაობას ეწევიან საქართველოს შრომითი მოსახლეობის, საქართველოს ახალგაზრდობის, მუშების, კოლმეურნე გლეხების, მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის საქმეში, აცნობენ მათ ჩვენი წარსული ისტორიის გირბებს, ახალგაზრდობას უნერგავენ სამშობლოს სიყვარულსა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობებს, აწრთობენ მათ კომუნისმის მშენებლობის გზაზე ყველაზე წინააღმდეგობათა დაძლევისათვის.

გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი მიეძღვნა 1968 წლის ივლისის თვეში საზოგადოება „ცოდნის“ და უქრნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის მიერ მომზადებული სამეცნიერო სესია თემაზე „გ. ი. ლენინის იერსახე ხელოვნებაში“. სესიებზე მოხსენებით გამოვიდნენ: ყურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი ი. ვეაძე, ყურნალის პასუხისმგებელი მდივანი ლ. თაბუკაშვილი, თეატრმცოდნე გ. ბარბაქიძე, კინომცოდნე ი. სენიაშვილი, მუსიკომცოდნე ბ. ახმეტელი თემაზე: „გ. ი. ლენინი და ხელოვნება“, „გ. ი. ლენინის იერსახე ქართულ სახეით ხელოვნებაში“, „გ. ი. ლენინის იერსახე ქართულ თეატრში“, „გ. ი. ლენინი საბჭოთა კინოხელოვნებაში“, „გ. ი. ლენინი და მუსიკა“.

ექვი არ არის, რომ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები, შემოქმედებითი ინტელიგენციის ორგანიზაციებთან შეიძირა კავშირში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით კიდევ უფრო მაღლა აიყვანეს და სრულყოფენ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების პროპაგანდას შრომითა ფართო მასებში.





ესთეტიკის მნიშვნელობა უკვე გასცდა წმინდა თეორიის ჩარჩოებს და სულ უფრო ეფუძვლება საწარმო-პრაქტიკულ ცხოვრებას. მშენებლობაზე ზრუნვა ორგანულად უთავსდება საწარმოო პროდუქციის დანიშნულებას, შრომით საქმიანობას. დღეს უკვე ჩვეულებრივად იქცნენ ცნებები: „შრომის ესთეტიკა“, „უოფიცევის ესთეტიკა“, „ტექნიკური ესთეტიკა“, „ვაჭრობის ესთეტიკა“ და სხვა. ამასთან დაკავშირებით უფროდ „საბჭოთა ხელოვნებას“ რეალურად ხსნის განყოფილებას — „ესთეტიკის უნივერსიტეტის ტრიბუნა“, რომელიც გააშუქებს ესთეტიკის კომპლექსურ საკითხებს.

## ესთეტიკა ვაჭრობაში

### ვახტანგ თოხაძე

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი

შპანასანულ წლებში ესთეტიკის კახონებმა სულ უფრო ფართო გავრცელება პოვა წარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროებში. წარმოებაში და ვაჭრობაში სისტემატურად ტარდება ესთეტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები. შეიქმნა ტექნიკური ესთეტიკის საკითხების შემსწავლელი

საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ფილიალი აქვს თბილისში.


ახლა ესთეტიკის კურსი იკითხება არა მარტო სამხატვრო, არამედ ტექნიკურ სასწავლებლებშიც, შემოღებული იქნა სპეციალურ სავაჭრო უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე გაერთიანებული ცერების ორგანიზაციამ 1968 წლის აპრილში თბილისში ჩატარა სიმპოზიუმი, რომელმაც განიხილა მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების ურთიერთმოქმედების საკითხები დაწვეული წარმოებიდან, დამთავრებული მოხმარებით.

ფართო გავრცელება პოვა ამ ურთიერთმოქმედების განსაკუთრებულმა ფორმამ, ეგრეთ წოდებულმა მოხმარების საკონლის, შენობების, სავაჭრო სათავსების ისეთი მხატვრული კონსტრუირება, რაც სანიმუშოდ დაკმაყოფილებს ადამიანს, უზრუნველყოფს მის მოხრებულ გამოყენებას და საგნების მაქსიმალურ შესაბამისობას ექსპლუატაციის პირობებთან.

კარგად ორგანიზებულმა დიზაინმა ორგანულად უნდა შეუთავსოს თანამედროვე მეცნიერება და ჩვენი საუკუნის მაღალ-განვითარებული ტექნიკა ხელოვნებას ადამიანთა მოქმედების ყველა დარგებში. ამ მხრივ უდიდესი როლი ენიჭებათ დიზაინერის ინიცირებს საპროექტო ორგანიზაციებში და საკონსტრუქტორო ბიუროებს. მაგრამ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პროფესორ მ. ბლეკის შეხედულებას, რომელიც ჩამოაყალიბა მან ზემოთ აღნიშნულ სიმპოზიუმზე 1968 წლის აპრილში, თბილისში: „ხელოვნება და დიზაინი ისევე განსხვავდება ერთი მეორისაგან, როგორც ლიტერატურა განსხვავდება რეპორტაჟისაგან, მხატვრის ინსტიტუტური გაგება — ინჟინრის ტექნიკური განვითარების დონისაგან. ისინი ინაწილებენ საერთო ნიშნებს, რომელიც გამოიხატება შემოქმედებაში და თუ მივიღებთ მათ ძირითად განსხვავებებს, მა-





შინ შეიძლება თვითონვე თავისი დამოუკიდებელი წვლილი შეიტანოს საზოგადოებაში<sup>1</sup>.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ, დიხანი და ხელოვნება კი არ გამოირცხვენ, არამედ ვესებენ ერთიმორეს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ გამოთქმულა ერთიანი შეხედულება ვაქრობის ესთეტიკის შინაარსსა და იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს მისი როლი.

ცხადია, სავაჭრო ესთეტიკა არ შეიძლება განხილულ იქნას წარმოებისაგან იზოლირებულად, მაგრამ ამასთან ერთად ის უნდა ვითარდებოდეს საკუთარი გზით. ვაღიარებთ რა, რომ საწარმო ესთეტიკის განვითარების გზები არსებითად განსხვავდებიან ვაჭრობის ესთეტიკის განვითარების გზებისაგან, არ შეიძლება შეუფასებლობა წარმოებისა და ტექნიკური საწარმო ესთეტიკის განვითარების დონის გადამწვევტი გაველენა ვაჭრობაზე საერთოდ და სავაჭრო ესთეტიკაზე განსაკუთრებით.

„საბოლოო ანგარიშით, — წერ და ფ. ენგელსი — წარმოება გადამწყვეტი. მაგრამ, როგორც კი პროდუქტებით ვაჭრობა საკუთრივ წარმოებას გამოყოფა და მისგან დამოუკიდებელი ხდება, იგი მისდევს თავის საკუთარ მოძრაობას, რომელზეც, მათილია, საერთოდ და მთლიანად წარმოების მოძრაობა ბატონობს, მაგრამ, რომელიც ცალკე კერძო შემთხვევებსა და საყოველთაო დამოკიდებულების ფაორლებში მისი იმ თავის საკუთარ კანონებს მისდევს, რომელნიც ამ ახალი ფაქტორის ბუნების დამახასიათებელი არიან; ამ მოძრაობას თავისი საკუთარი ფაზები აქვს და,

თავის მხრივ, იგი წარმოების მოძრაობაზე უკუშეგავლენას ახდენს“<sup>1</sup>.

გამომდინარე ფ. ენგელსის ამ დებულებიდან და იმ ძირითადი ფუნქციებიდან, რომლებსაც ასრულებს საბჭოთა ვაჭრობა, შეიძლება ახლოს მივიდეთ სავაჭრო ესთეტიკის არსის განსაზღვრამდე.

საბჭოთა ვაჭრობა ახორციელებს შემდეგ სამ ძირითად ფუნქციას: პირველი და მთავარი მათ შორის არის საქონლის დაყვანა წარმოებიდან მომხმარებელამდე ყიდვა-გაყიდვის გზით, ე. ი. საქონლის ღირებულების ფორმათა ცვლით. ვაჭრობის მეორე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს აქტიური ზემოქმედება წარმოებაზე ბაზრისათვის საჭირო საქონლის გამოშვების მიმართულებით. საბჭოთა ვაჭრობის ფუნქციები ამით არ ამოიწურება. იგი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე მომხმარებელთა მოთხოვნის ფორმირებაზე, მათ გემოვნებაზე, აქედან, სავაჭრო ესთეტიკა უნდა შედგებოდეს ოთხი ნაწილისაგან: შრომის ესთეტიკა ვაჭრობაში, ესთეტიკა სავაჭრო ორგანიზაციაში და სავაჭრო საწარმოში, ვაჭრობაში მოწონივ ტექნიკისა და პროგრესული მეთოდების დანერგვის ბაზაზე და ესთეტიკა მომხმარებელთა გემოვნებისა და მოთხოვნისაგან ფორმირებისა. ამასთან სავაჭრო ესთეტიკა უნდა წარმოადგენდეს მეცნიერების კომპლექსურ დარგს, რომელიც დამყარებული იქნება მარქსისტულ ესთეტიკაზე, ფილოსოფიაზე, ეკონომიურ და ტექნიკურ მეცნიერებაზე, ფსიქოლოგიაზე, მედიცინაზე და ცოდნის სხვა დარგებზე.

<sup>1</sup> ი. მარქსი, ფ. ენგელსი, ჩრტული ნაწერი, ტ. 11, 1964 წ. გვ. 602.

რაში უნდა მდგომარეობდეს შრომის ესთეტიკა ვაჭრობაში? შრომის ესთეტიკა ვაჭრობაში — ეს არის ესთეტიკური მოვლენა მალაზიების, სასადილოების, რესტორნების, საბითუმო ბაზების, საწყოების და საცალო და საზოგადოებრივი კვების სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა შრომაში.

ვაჭრობის მუშაკთა შრომამ ესთეტიკური კმაყოფილება უნდა მოუტანოს არა მარტო თვით მუშაკებს, არამედ იმათაც, ვისაც ისინი ემსახურებიან, ე. ი. მრავალრიცხოვან მიედევლებს. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ვაჭრობის მუშაკთა კულტურის ამაღლება.

ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი გაკეთდა და კეთდება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის პირობები შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პირველი კვირები შეიქმნა სახელწოდებით ვაჭრობის მთელ რიგ მსხვილ ორგანიზაციებში და საწარმოებში. ამ სამუშაოს ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან იქნება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრალური ლაბორატორია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვაჭრობის მუშაკთა ესთეტიკურ აღზრდას, რაც ვერ განხორციელდება მათი ცოდნის დონის ამაღლების გარეშე, განსაკუთრებით საქონელმცოდნეობის სფეროში.

ვაჭრობის მუშაკებს უნდა ჰქონდეთ სასაბითუმო გარეგნული იერი და მკაცრად დაკული პირადი ჰიგიენა, უნდა ფლობდნენ თავდაჭერის მოხდენილ მხარეებს, მომხმარებლებთან ურთიერთობის მაღალ კულ-





რესტორან „სალ-  
ხინოს“ ერთ-  
ერთი დარბაზი —  
„მარანი“

შაობისათვის და სავაჭრო მომსახურე პერ-  
სონალის დასვენებისათვის, უზრუნველყოფ-  
დეს სასაქონლო-მატერიალურ დასუფლუ-  
ბათა დაცვას.

თანამედროვე მაღაზიების შინაგანი მო-  
წყობის სახელმძღვანელო პრინციპები,  
უწინარეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს  
საქონლისადმი და არა მოწყობილობისად-  
მი მივიღვეთა ყურადღების გასამახვილებ-  
ლად. ამასთან დაკავშირებით მოწყობილ-  
ბანი თავალი საცემი არ უნდა იყოს თავისი  
კონსტრუქციით.

საჭიროა მაღაზიში მუდმივად იყოს სა-  
ქონლის ფართი ასორტიმენტია, რომელიც  
განლაგებული და გამოფენილი იქნება ისე,  
რომ შექმნას მაქსიმალური მოხერხებუ-  
ლი პირობები მომხმარებლების მიერ საჭირო  
საქონლის დათვალიერებისა და ამორჩევი-  
სათვის, დროის ეკონომიის გათვალისწინე-  
ბით უზრუნველყოფილი უნდა იქნას რო-  
გორც ინდივიდუალური, ისე საქონლის  
კომპლექსური შესყიდვის პირობები. გა-  
თვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე  
ვაჭრობის საუკეთესო ორგანიზაციის უზ-  
რუნველყოფის ისეთი ფაქტორები, როგო-  
რიცაა ფსიქოლოგიური, ჰიგიენური, კლი-  
მატური და სხვა თავისებურებანი, დამაზი-  
სიათმფელი კულტურის, ისტორიის, ეკო-  
ნომიკისა და ეროვნული ტრადიციებისა-  
თვის.

მაღაზიის შინაგანი მოწყობილობა ისე-  
თი უნდა იყოს, რომ მომხმარებელმა ხალი-  
სით დაჰკოს გარკვეული დრო საქონლის  
დასათვალიერებლად და წინასწარ გაუთვა-  
ლისწინებელი საქონლის შესაძენად. ჰიგი-  
ენური მიდგომა თხოულობს კედლებისა და

ტურას, კარგად უნდა იცნობდნენ საქონლს  
და მის თვისებებს, რათა მივიღველეს ყო-  
ველმხრივი დახმარება გაუწიონ მათთვის  
საჭირო საქონლის შექენაში. ისინი შექენი-  
კური შუამავლები კი არ უნდა იყვნენ მრეწ-  
ველობასა და მოსახლეობას შორის, არამედ  
საქონლის აქტიური პროპაგანდისტებიც.

ვაჭრობის მუშაკთა ესთეტიკური აღზრ-  
და უნდა გულისხმობდეს სახეობის ხელოვნ-  
ების ძირითადი საფუძვლების ცოდნას,  
რამდენადაც მაღაზიებისა და საბითუმო  
ბაზების მუშაკებს უსდებათ დეკორატიულ-  
გაფორმებითი სამუშაოების შესრულება.  
უცხო ქვეყნებთან ტურიზმის ინტენსიური  
განვითარების პირობებში ჩვენს რესპუბლი-  
კაში ხორციელდება ტურისტებთან მომსა-  
ხურე ვაჭრობის მუშაკების — გამყიდვე-  
ლებისა და მიმტანების მომზადება უცხო  
ენებში.

ესთეტიკა სავაჭრო ორგანიზაციებში და  
სავაჭრო საწარმოებში თავაჯ უპირველეს  
ამოცანად ისახავს საუკეთესო პირობების  
შექმნას სავაჭრო ტექნოლოგიისათვის,  
მშვიდი შემოქმედებითი ატმოსფეროს უზ-  
რუნველყოფას საქონლის გაყიდვის პრო-  
ცესში როგორც ვაჭრობის მუშაკებისათვის,  
ისე გამყიდველებისათვის.

ეს პირობები შეიძლება შეიქმნას არქი-  
ტექტურული გადაწყვეტის რაციონალური  
და ლამაზი შერწყმით საჭირო საწარმოს  
მთელ ტექნოლოგიურ პროცესებთან. სავაჭ-  
რო საწარმოთა უმრავლესობა შენობის ყვე-  
ლაზე შესამჩნევ ნაწილს იკავებს, ისინი  
ალამაზებენ და აცოცხლებენ მაგისტრა-  
ლებს, ადამიანებს შესაძლებლობას აძლე-  
ვენ ესთეტიკური გემოვნების ამაღლებისა-

თვის. შენობათა სიღამაზე, სისადავე და  
მათი მოწყობა უშუალო კავშირშია საქონ-  
ლის გაყიდვის ტექნოლოგიასთან.

ჩვენში სახეობებელი სახლების პირველ  
სართულებში სავაჭრო და საზოგადოებრივი  
კვების საწარმოებია გახსნილი. ეს საწარ-  
მოები, არქიტექტურული გაფორმებით და  
ტექნოლოგიური პროცესებით, უნდა პასუ-  
ხობდეს სავაჭრო ესთეტიკის თანამედროვე  
მოთხოვნებს, მოხერხებული უნდა იყოს მუ-

დიდის საბჭოთა მუერნების ხილ-ბოსტნეულის მაღაზია







რესტორანი  
„ივერიის“ ერთ-  
ერთი საბანკეტო  
დარბაზი

მოწყობილობით უზრუნველსაყოფად რესპუბლიკაში შექმნა ორგანიზაცია „ინვენტარვატორბა“. უახლოეს პერიოდში ამ ორგანიზაციასთან გათვალისწინებულია სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნა ისეთი სრულყოფილი თანამედროვე სავაჭრო ინვენტარისა და მოწყობილობის ნიმუშების დამუშავებისა და კონსტრუქციისათვის, რომლებიც შეესაბამება ტექნიკისა და ესთეტიკის მოთხოვნებს.

სავაჭრო შენობის სახის შექმნისათვის საუკეთესო ელემენტს წარმოადგენს ვიტრინები, რომლებსაც დიდი ფუნქციონალური მნიშვნელობაც აქვთ. ისინი მყიდველს შესაძლებლობას აძლევენ გაეცნოს გასაყენლს და მათაიაში შესვლამდე შეარჩიონ იგი.

ვიტრინების ღამაში და რაციონალური გაფორმება დიდი ხელშეწყობაა. მაღალი მხატვრული გემოვნების გარეშე, დეკორატიული ელემენტების საფუძვლების ცოდნის გარეშე, შეუძლებელია ვიტრინების გაფორმება სათანადო ესთეტიკურ დონეზე. მათი გადაწყვეტა ყოველთვის შეხამებული უნდა იყოს სავაჭრო დარბაზის გარეგან სახესთან. მაღაზიის გარეგანი იერი უნდა აღამაზებდეს ეუნას, ხოლო მისი კედლების არქიტექტურული დამუშავება და სარეკლამო წარწერები ქალაქის საერთო მხატვრულ სახეს პარმინიულად ერწყმიდეს.

მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის შექმნის საქმეში დიდ როლს ასრულებს სავაჭრო რეკლამა, რომელიც ჩვენში მხოლოდ ახლა ვუფლება თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებს. ერთ-ერთი გამომჩენილი ფრანგი სპეციალისტი რეკლამის საქმეში, შარლ სპინასი ამბობდა: „...არავითარი სა-

ფერის, ჭერისა და იატაკის ისეთ შეხამებას, რომელიც შექმნის საუკეთესო ეტიკონფეროს; ფერების ღამაში შეხამება საქონელს მიზმიდგელ იერს უნდა აძლევდეს. დიდ როლს ასრულებს განათებაც. ცუდი, ხელშეწყობი განათება იწვევს მყიდველთა ნერვიულობას და გამყიდველთა შრომის ნაყოფიერების შემცირებას.

საჭიროა სავაჭრო სათავსოებში ფართო ადგილი დავუთმოთ ბუნებას, რამდენადაც დეკორატიული მცენარეებით და ყვავილებით გამწვანება არა მარტო აღამაზებს, არამედ ასუფთავებს სათავსოში ჰაერს ნახშირორბანისაგან და ამით აუზრუნველს დარბაზის ვენტილაციას. მაღალი ესთეტიკური მოთხოვნები უნდა წავეყენოთ სამუშაო ადგილებს. მათი სიღამაზე და მოხერხებულობა უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. შრომის ორგანიზაციის ესთეტიკა ვაჭრობაში განუწყვეტლივ დაკავშირებულია მის ტექნიკურ აღჭურვილობასთან, ვაჭრობის პროგრესული ფორმების გამოყენებასთან (სპეციალიზაცია, თვითმსახურება, საქონლის ღია გამოლაგება, ვაჭრობა ნიმუშებით და სხვ.). ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, ისეთ ტექნიკურ აღჭურვილობას და სავაჭრო საწარმოების მოწყობილობას ითხოვს, რომლებიც თვალნათლივ გახდის თვითმულ საქონელს. გა-

სათვის მხატვრული სისტემით სრულად უნდა იქნას გამოყენებული საექსპონატო საქონლის ფორმა, ფერი და ფაქტურა. თანამედროვე სავაჭრო ინვენტარისა და

უნივერსალ „ბავშვთა სამყაროს“ ერთ-ერთი ვიტრინა







განი არ აერთებს და არ შესასხლორცებს ხელოვნებას მცენიერებასთან ისე, როგორც სარეკლამო საქმე“. სავაჭრო რეკლამამ უნდა გამოიყენოს ხელოვნების ყველა საშუალება, მცენიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

რამდენადაც სარეკლამო საქმეს გრანდიოზული მნიშვნელობა ეძლევა, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური გავრცელების განყოფილება „სოიუზტორგრეკლამა“, რომელსაც თავისი ფილიალი აქვს ჩვენს რესპუბლიკაშიც.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური სავაჭრო რეკლამის სამსახური საბჭო, რომელშიც შედიან გამოჩენილი სპეციალისტები და ხელოვნების მუშაკები.

უახლეს დროში თბილისში დამთავრდა ტექნიკურად სრულყოფილი „სოიუზტორგრეკლამის“ საქართველოს ფილიალის მსხვილი საწარმოო კომბინატის მშენებლობა. თავის ძირითადი საწარმოო ფუნქციის გარდა, „სოიუზტორგრეკლამის“ საქართველოს ფილიალი პრესის, რადიოს, ტელეხევისა და კინოს საშუალებით უნდა განხდეს რესპუბლიკაში სავაჭრო რეკლამის მთავარი ორგანიზატორი.

სავაჭრო ორგანიზაციაში და სავაჭრო საწარმოში რომ წარმატებით ყველა ამოცანა, საჭიროა მრეწველობის მსგავსად ვაჭრობაშიც დაინერგოს დისაინი, საქსავაჭროპროექტის ინსტიტუტთან შემოღებული იქნას ინჟინერ დისაინერის შტატი. ხელოვნების მუშაკები ფართოდ უნდა მოეზიდოს სავაჭრო სავაჭრის გარეგანი გაფორმებისა და სილამაზის ჩარმონიული შერწყმისათვის დისაინი. ჩვენთან რეს-

პუბლიკაში ამჟამად უკვე ცოტა როდია ისეთი ობიექტები, სადაც თანამედროვე არქიტექტურა, მცენიერება და ტექნიკა ორგანულად ერწყმის სახეთ ხელოვნებას. საგანობისა დავასახელოთ პანსიონატების სავაჭრო ობიექტები კურორტ ბიჭვინთაში, სასტუმრო „ივერია“ თბილისში, „მარანიის“, თბილისის რესტორნების ტრესტის რესტორან „სახლინის“ დარბაზები, სოხუმი რესტორან „დიოსკურას“ გაფორმება და სხვა.

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება უნდა ემყარებოდეს ქალაქების განვითარების გენერალურ გეგმებს, რომლის სპეციალური განყოფილება იქნება საცალო სავაჭრო ქსელისა და სასწავლების ქსელის დისლოკაცია, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის მარტის № 157 დადგენილებით.

საცხოვრებელი ბინების პირველ სართულში რომ ვაჭრობისათვის ყოველმხრივ მიზანშეწონილი სათავსოები მოწყოს, საქსავაჭროპროექტმა უნდა განახორციელოს წინასწარი კოორდინაცია ტექნიკური პროექტირების, მოგვეცეს კონსულტაცია ამ ნაწილში და დაამუშავოს კიდევ იგი სართოვად, ხოლო რესპუბლიკის საქმუშენმა სისტემატურად გააკონტროლოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით, სავაჭრო საწარმოების ტექნოლოგიური ნაწილები, რომლებიც დამუშავებულია სხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

საკითხები, რომლებიც დგას ვაჭრობის ორგანიზაციისა და სავაჭრო საწარმოების ესთეტიკის წინაშე, არ შეიძლება წარმატებით იქნას გადაწყვეტილი თვით საქონლის ესთეტიკის უკუღებეყოფი, მისი წარ-


მოების, შეფუთვისა და დაფასების ესთეტიკის გარეშე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ 1966-1970 წლებში სახალხო მუყრნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებული დირექტივის შესაბამისად მრეწველობის ყველა დარგის წინაშე დაყენებული იქნა ამოცანა: პროდუქციის ხარისხით დავეწიოთ და გავსწიოთ მსოფლიო სტანდარტების დონეს.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის მსხვილ ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც წარმატებით მუშაობს სპეციალური სამსახური-საკონსტრუქტორი ბიურო, რომლის მონაწილეობითაც იქმნება მოწყობილობა, დაზღვევა და სახალხო მოხმარების საჭილეი. ამ ბიუროს ხელშეწყობა დავალებული აქვს საკავშირო ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტს, რომელსაც თავისი ფილიალი აქვს თბილისში. ინსტიტუტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მხატვრული კონსტრუქციების შეთოვების დაწერვა მრეწველობის ყველა დარგში, მწარმოებელ საწარმოთა მიერ გამოშვებულ ყველა ნაკეთობის პროექტირება.

მხატვრული კონსტრუქციების მიზანია სახალხო მოხმარების ისეთი დაკაონის წარმოება, რომლებიც სანიმუშოდ სავაჭრო-ყოფილებზე საბჭოთა ადამიანის მოთხოვნებს, უზრუნველყოფენ მათ მოხერხებულ გამოყენებას და ექსპლოატაციის პირობებთან საქონლის მაქსიმალურ შესაბამისობას. ამ დიდ მუშაობაში მთავარი და უაქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სავაჭრო ორგანიზაციებმა და საწარმოებმა, განსაკუთრებით საბითუმო ბაზრებისა და კანტორების საქონელმცოდნეებმა.





რესტორანის ერთ-ერთი საანატოლო დარბაზის კედლის დეკორატიული დეტალი

საქონლის დაფასოება და შეფუთვა უნდა შესრულდეს მაღალ მსატრულ დონეზე. ის უნდა შეესაბამებოდეს თვით საქონლის სპეციფიკას და თავისი ფორმით უნდა იძლეოდეს საქონლის თვისებებს დახასიათებას, ეტიკეტებს უნდა გააჩნდეს ზუსტი, ლაკონური ტექსტი, გამოყენილი მკაფიო ასოებით და ამასთან არ უნდა იყოს ძვირი. შეფუთვისა და დაფასოებისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას ისეთი იაფი და ეფექტური მასალები, როგორცაა პლასტმასები, ალუმინი, ცელფანი. ბოლო ხანს დაფასოებისა და შეფუთვისათვის ფართოდ გამოიყენება ისეთი პლასტმასები, როგორცაა პოლიეტაილენები, პოლივინილხლორიდები, პოლისტიროლი, პოლიპროტილენი, ცელულოზი და ა. შ.

საქონლის ლამაზი, რაციონალური დაფასოება და შეფუთვა არა მარტო აჩქარებს საქონელმიმოქცევის პროცესს, არამედ ვაჭრობის პროგრესული ფორმების განვითარების აუცილებელ პირობასაც წარმოადგენს. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში — პრაღაში შექმნილია მუდმივ-მოქმედი კომისია სპეციალურად საქონლის შეფუთვისათვის. იგი სისტემატურად აწყობს კონკურსს, როგორც სასურსათო, ისე სამრეწველო საქონლის საუკეთესო შეფუთვაზე. ეს სასარგებლო პრაქტიკა საჭიროა ჩვენთანაც იქნას გადმოზიკნილი.

საჭაქრო ორგანიზაციების ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ გააძლიეროს თავისი ზემოქმედება წარმოებაზე დაფასოებული საქონლის გამოშვების მიმართულებით, არამედ თვითონაც აწარმოოს დაფასოება მიმოქცევის სფეროში. ამასთან, თვით შესაფუთი ტარა და მისი ესთეტიკური გაფორმება უნდა წარმოდეს

„საქვაჭობრეკლამის“ საწარმოო კომბინატში. მასვე ევალება შესახვევი ქარაღის გამზადება, რომელიც გამოიყენება საჭაქრო ქსელში სპეციალური, ლამაზად გაფორმებული შტამპით.


გაერთიანება „საქვაჭობრეკლა მა მ“ დიდი როლი უნდა შეასრულოს მომხმარებელთა გემოვნების ამაღლებაში, კარგად ორგანიზებული, მაღალმსატრული და ადვილად გასაგები რეკლამით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საჭაქრო ესთეტიკის პრობლემების გადაწყვეტა მთლიანად საჭაქრო რეკლამას დაეკისროს. ეს არის საქმე მთელი ვაჭრობისა და მრეწველობისა, რომელიც უშვებს სახალხო მოხმარების საქონელს, საჭაქრო რეკლამა კი წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას, რომელიც გამოიყენება ამ მიზნისათვის.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჭრობის ესთეტიკა და წარმოების ესთეტიკა ფართო განვითარების სწორ გზას ადგინა. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენს ქვეყანაში მწყობრში ჩადგება თანამედრე მოწყობილობით აღჭურვილი, მეცნიერებათან, ტექნიკასთან და ხელოვნებასთან მონიულად შეთავსებული ვაჭრობის ისეთი მსხვილი ობიექტები, როგორცაა თბილისისა და სხვა ქალაქების ცენტრალური უნივერსიტეტები, სამომხმარებლო კოოპერაციის სახლი, მაღალი სასტუმროებისა და პანსიონატების საჭაქრო ობიექტები თბილისში და სხვა კურორტებზე. მსხვილი მაღაზიები, რესტორნები, კაფეები და საცალო ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები, რომლებიც მოქმედებში შევა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის მნიშვნელოვანი თარიღისათვის.

„სოიუზტორგრეკლამის“ საქართველოს ფლიალის საწარმოო კომბინატის მშენებლობა







## პეტროვის ესთეტიკის გაეო

გივი მარუაშვილი



ანამედროვე ადამიანის გონება ბევრგვარი თეორიით არის დატვირთული. ბევრი ახალი მეცნიერება გაჩნდა, ზოგი სრულიად ახალი, ათიოდე თუ რამდენიმე წელს რომ ითვლის, ზოგიც ძველი დანაწევრდა, სიფართოვდნენ გზა სიღრმისაყენ, საგნისა თუ მოვლენის არსის შესწავლისაკენ გაიკაფა. მაგრამ გონებასაც და ცხოვრებასაც თავისი ობიექტური კანონზომიერებანი გააჩნია. არცერთი მეცნიერება არ წარმოიშობა პრაქტიკული, ცხოვრებისეული მოთხოვნილებით მისი შექმნის პირობები თუ არ მომწიფდა. ისიც უნდა ითქვას, რომ შემეცნებელი გონება უსარკებლო თეორიებით საბოლოო ჯამში თავს არ დაიტვირთავს.

ყოველივე ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ თუ საკითხი ისმის რომელიმე მეცნიერების თუ მეცნიერული თეორიის არსებობა-არარსებობაზე, უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა გადაწყდეს იმ ობიექტური სინამდვილის შესწავლითა და სწორი განჭვრეტით, რომლის წარმომადგენლობასაც ცდილობს ესა თუ ის მეცნიერება, თუ მეცნიერული თეორია.

ისეც ხდება, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ლოგიკური კანონების მიხედვით არ იბადება, რაც არ უნდა სწორი იყოს თეორიულად ესა თუ ის კანონი, თუ მას პრაქტიკული ცხოვრება არ განამტკიცებს,

თავის ადგილს ვერ დაიმკვიდრებს. ასე, რომ ბურიდანის ვირი, რომელმაც მისგან მარჯვნივ და მარცხნივ აბსოლუტურად ტოლად დაცობილებული ქერი შესაძლებლად ვერ აირჩია და შიმშილით მოკვდა, ლოგიკურად შესაძლებელია არსებობდეს, მაგრამ ბუნებაში ასეთ ცხოველს კაცი ვერ ნახავს.

მასასადამე თეორიული აზრი, თუ მეცნიერული თეორია წარმოიშობა და შემდეგ მოითხოვს პრაქტიკულად შესაბამის მტკიცებას, ხან კი წმინდა პრაქტიკული მოთხოვნებით წარმოშობილი საგანი მოითხოვს შემდგომ თეორიულ დასაბუთებას.

ამეამად, ჰირდაპორ მივადევით სათქმელს: საბჭოთა ადამიანის მატერიალური ცხოვრების პირობები დიდად გაუმჯობესდა. ამან თავის მხრივ ხელს შეუწყო მოთხოვნილებების დონის ამაღლებას და გემოვნების ზრდას. ახლა ადამიანს, რომელსაც საეპატრო ტერმინოლოგიით არც თუ ისე გამართული სახელი — „მომხმარებელი“ ჰქვია, როდი აკმაყოფილებს უზაროდ მატერიალური მოთხოვნილების საგანი. მას სურს ეს საგანი იყოს ლამაზი, მიმზიდველი. სულიერი მოთხოვნილებანი დასაკმაყოფილებლად ფორმის სიღამაზესა და მშვენიერებასთან ერთად მეტი შენარჩობილი სიღრმეა საჭირო.



დღის წესრიგში დადგა ლამაზი ნივთის, საგნის შექმნა. ეს უარესად პრაქტიკული საჭიროებაა. ლამაზი ნივთი, საგანი რომ დამაზავდეს, მარტო პრაქტიკული გამოყენება რელი გმარა. უნდა გაერევი სილამაზის კანონებში. სილამაზის კანონები გარკვეულად კი ესთეტიკის სფეროს განვსაზღვრებთ. მაშასადამე, ძველი მცენებრება-ესთეტიკა, რომელიც სხვადასხვა ფილოსოფიური თეორიების ზღვაში ყვინთავდა, კონკრეტულ საჭიროებათა ფონზე გამოვიდა და თავის აპარტურა გაფართოვა.

თუ ლამაზი ნივთის დამზადებაზე მივხედვით საქმე გიხივდები იტყვის: ლამაზი ნივთის დამზადება წარმოების საქმეა და მართლაც იქნება. სწორად, საწარმოო ანუ ტექნიკური ესთეტიკა, რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია დაფიქვრდა, განიხილავს ამგვარი ლამაზი ნივთის თუ საგნის წარმოების საკითხებს. მაშ, რაღა საჭირო ყოფილა კიდევ ერთი ახალი დავის — ვაჭრობის ესთეტიკის შემოღება, რაღა შეადგინოს მის ფუნქციას? იასრებებს კი ასეთი მცენებრება? აქ უკვე ვაჭრობის რთული სპეციფიკა უნდა მოვიშველიოთ და საკითხი მისი დახმარებით გადავწყვიტოთ.

\* \* \*

როცა ვამბობთ, რომ ნივთი უნდა ჰქონდეს ყველა თვისებები პარმონიულად შერწყმული, გველისსმობთ, რომ მისი ხარისხი უნდა შეფასდეს საზოგადოებრივ მოთხოვნას, საქონლის სილამაზისა და დანიშნულების შესახებ.

ამავე დროს იმასაც ვამბობთ, საქონელი და მისი თვისებები იქმნება წარმოებაში და ამ თვისებების შექმნისას პოტენციურად იგულისხმება მომხმარებელი. მაშასადამე, ნივთის, საქონლის დამზადებისას, მიღერი გამოთქმა მხოლოდ დაპირებამაგებულია მისი მოხმარება. ხომ არ მივაღდექოთ აუღებელ ციხეს, რაჯი გამოდის, რომ მოხმარების საზოგადოებრივი ხასიათი ფიქსირდება თვით სავანში, უფრო სწორად, განუსაზღვრელი თავიდანვე განსაზღვრულია?

როცა ვამბობთ, საზოგადოებრივ წარმოებაში თავისებურად არის ფიქსირებული, პროგრამირებული მოხმარების მიმართულება, თუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანური მოხმარების საგანი მისი თავისებური კავშირის დამყარებული მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის და ამ საგანს თავი მიჰქვს მომხმარებელთან წარმოებაში ფიქსირებული პოტენციური თვისებები და ფუნქციონალური დანიშნულება. შრომის პროდუქტი წარმოებაში თითოთი ხდება ობიექტი მოხმარებაში. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ წარმოება ქუჩის არა მარტო საგანს, არამედ მისი მოხმარების წესსაც.

მაშასადამე, არსებობს კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც წარმოება განაპირობებს შრომის პროდუქტის მოხმარების მიმართულებას, მაგრამ სინამდვილეში ეს განსაზღვრა როდი ამბობს იმას თუ ცალკეული საგნის დამზადებისას, მომხმარებელს რა კონკრეტულ პროცესში მოხვდება იგი. ნათქვამი ისე არ უნდა გაავითო, თითქოს წარმოებისათვის თავიდანვე არ იყოს ცნობილი, რომ ვიქვია, სკამი დასაჯდომად არის განკუთვნილი, წინდა უტოლიტრული ფუნქციის გარდა აქ საქმე ეხება სხვა ფუნქციებსაც, რომლებიც დაბაზასიათებულია ადამიანური, და მაშასადამე, საზოგადოებრივ მოხმარების პროცესისათვის და უნდა გაიანდეს შრომის პროდუქტს ვიქვიათ, მხატვრული ნაწარმოების შემქმნელს არ აინტერესებს რაგვარი ვითარებაში იქნება წაუთხლელი მისი ნაწარმოები, მაგრამ მისთვის საინტერესოა მოთხოვნის ის დონე, რომელსაც მის მიერ შექმნილი ნაწარმოები შეხვდება. ამ შემთხვევაში სულერი პროდუქციის მომხმარებლის მსა ფორმაში ხვდება ის პროდუქცია, რომელიც ასახავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოებას, „სულიერი წარმოების“ არსებულ საზოგადოებრივ დონეს.

ცხადვე უცხადისა, რომ პროდუქტის პოტენციური თვისებები და ფუნქციონალური დანიშნულება მყარდნება სუბიექტთან — მომხმარებელთან დამოკიდებულებაში. თუ ამ დებულებას განვაზოგადებთ, გიცივთ, რომ იგი ერთნაირად შეხება, როგორც შრომის პროდუქტს, განკუთვნილს მატერიალურ მოთხოვნილებასა და მატერიალურ თვისებისათვის, ასევე მცენებრულ, მხატვრულ პროდუქციასაც, განკუთვნილს სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ამგვარად, შრომის პროდუქტი გარდაქმნება მომხმარებელი ინდივიდისათვის, ანუ მომხმარებელისათვის, განკუთვნილი საგანად — სოციალური თვალსაზრისით ეს არის პრაციკა, რომლის დროსაც კონკრეტული პოტენცია რეალურებული ხდება — მყარდება კავშირი პროდუქტის, საგნის შემქმნელსა და მის მომხმარებელს შორის.

ამ საზოგადოებრივ კავშირის აქვს ორმაგი ბუნება: სუბიექტი-მწარმოებლისათვის საჭიროა შრომის პროდუქტში, წარმოებულ საგანში მომხმარებლის მოთხოვნის გასაგნობრივება, საზოგადოებრივი მოთხოვნის საერთო დონის გათვალისწინება, სუბიექტი-მომხმარებლისათვის აღნიშნულ დონესთან შრომის პროცესში გასაგნობრივებულ ფუნქციებსა და თვისებებს შინაარსობრივი თანხმება.

ვინ ამბობს რომლებს ამ საზოგადოებრივ კავშირს, ვის ვგვარება ამ კავშირის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციის ანალიზი? ეს უნდა გაავითოს ჩვენი სახალხო მუშაურების ასეთმა მნიშვნელოვანმა დარგმა, როგორც არის ვაჭრობა.

მაშასადამე, ვაჭრობა თავისი ფუნქციის შესრულების საფუძველად უნდა ჰქონდეს კოდირებული თვისებების მოხმარების პროცესში გამოფერას. ამაშია მისი პირდაპირი დანიშნულებაც და სოციალური ფუნქციაც.

რა კავშირი აქვს ყოველგვ აქ თქმულს ვაჭრობის ესთეტიკასთან?

საქმე იმაშია, რომ ვაჭრობის ესთეტიკის პრობლემას, სწორედ ვაჭრობის სპეციფიკის სოციალურ ბუნებაში ნაპოვნი გასაღებით უნდა მიუვლიოთ.

\* \* \*

ნივთის სილამაზისა და მისი სარგებლიანობის შესაბამისობაზე დავა ძველი ბერძნული ფილოსოფიის ასაკისა და საქმეების განმავლობაში ხვრდასხვა ფილოსოფიურ სისტემებში იყო გახვეული. აქ შეიძლება ასეთი პარადოქსი ითქვას: ნივთის, საგნის და საბოლოოდ ხელოვნების უტილიტარული დანიშნულების შესახებ დავა დაწყებულ პერიოდში უფრო მიაღწიებულ იყო პირველადი მოთხოვნილების ამახველი დონის საჭიროებებთან, ეს, ერთი შეხედვით უპარადოქსი შეიძლება ასე აგვხანთ: ხელოვნების წარმოება განუხრდად არის დაკავშირებული მატერიალური საწყაროს ათვისების — ნივთების შექმნის უპირველეს მოთხოვნილებებთან თავდაპირველად ნივთის შექმნა, მისი უტილიტარული გამოყენება იყო ამ ნივთის ფორმის განსაზღვრელი და ეს ფორმა თანდათან იქცა შემოღობიერი ათვისების, და მაშასადამე, ხელოვნების სიანად.

როგორც ვთქვით, ყოველი თეორია, ხელოვნება პრაქტიკული საჭიროებით არის გაპირობებული და ამავე მოთხოვნილებით არის წარმოშობილი. მაშასადამე, იგი მოიცავს განვითარების თანმიმდევრულ საფეხურებს. ხელოვნების განვითარების დაბალ საფეხურზე ნათლად შეიძინევა ის მოთხოვნილება მტკიცედ დაკავშირება, რომელთა განგანება ხელოვნების საჭიროება აუცილებლად იქნება. მშენებების კრიტერიუმის ნივთის სარგებლიანობაში ატევა ნათლად არის გამოსატლელი ქმნილობის მიერ აღწერილ ამბავში... ერთხელ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე თავის მოწაფეს არისტოტელს ეკვამოდა და ამტკიცებდა, რომ მშენებების კრიტერიუმს უნდა იყოს ის, რაც მას სარგებლიანობა მოაქვს.

არისტოტელს პასუხობს:

— მაშ, სანაგვე კალათი მშენებური საგანია?

— დიახ! ვიყავიარ ზეცის! — უპასუხა სოკრატემ, — ოქროს ფარეც უმსაგებო საგანია თუ თავისი დანიშნულებისათვის პირველი მშენებური გაკეთებულია, მეორე კი ცუდი...

ძველი ბერძნული ფილოსოფიის შემდეგაც არავითხედ გამართულად დავა საინტერესოა და ლამაზის, ხელოვნების ფუნქციის, სილამაზის კრიტერიუმის, ხელსონობისა და ხელოვნების დამოკიდებულების და სხვა პრობლემების შესახებ, მაგრამ ყოველი დამოკიდებულება და სხვა პრობლემები წყვეტდ მათ.

ჩვენ ამჟამად ის გვიანტერესებს, რომ ვაჭრობაშიც ძირითადი და მამოძრავებელი ესთეტიკურ-უტილიტარული პარმონიული შე-



სამების საკითხი უნდა იყოს. სწორად ვერ არის ის არსებითი, რასვე დამატებულია საბჭოთა გაჭირვების ესთეტიკურ-აუმრავლდობითი ფუნქცია.

როცა ვაჭრობაზე ვლანარაკობთ და მის ძირითად ფუნქციებს ვეხმობით, აუცილებელია ვილანარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, საქონელზე და ენახთო რა ვითარებაში ეხება ესთეტიკურ-უტილიტარული უფრომომარება საჭიროებს.

